საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ევნოცია

ენვოცია (Eunotia), კაჟოვანი წყალმცენარის გვარი პრიმიტიულნაჭდევიანთა ქვერიგისა. უჯრედები ერთეულია ან შეერთებულია ლენტისებრ კოლონიებში. თავისუფლად ცხოვრობს ან მიმაგრებულია სუბსტრატზე. მტკნარი წყლის სახეობებია, გვხვდება კირით ღარიბ წყლებში, ხავსებს შორის, ნესტიან კლდეებზე; დამახასიათებელია მთის წყალსატევებისათვის. საქართველ ში ცნობილია 34 სახეობა და სახესხვაობა, რ-ებიც გვხვდება ერთეულებად – E. alpina, E. bidentula, E. bigibba, E. cristo და სხვა.

ქ. ყანჩაველი